ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2929732

ნომერი: AR1450041

თარიღი : 19.10.2016

გაცემის თარიღი : 04.11.2016

გაცნობის თარიღი : 07.11.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მუხადგვერდის ხიდის მიმდებარედ საქართველოს სამხედრო გზის 13 კმ-ზე/ ქალაქი თბილისი , ხეივანი დავით აღმაშენებლის , მუხათგვერდის ხიდის მიმდებარედ (ნაკვეთი 14/460)/ ქალაქი თბილისი , საქ. სამხედრო გზის მე-13 კმ. ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევან გოგსაძე პ/ნ 01024009478
- დავით აღმაშენებლის ხეივანი #216

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ტერიტორიაზე პირველი კლასის ღობის მშენებლობის და მასში კარის ღიობის მოწყობის შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა თქვენი საკითხი თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, რომელიც ეხება ქ. თბილისში, მუხათგვერდის ხიდის მიმდებარედ საქართველოს სამხედრო გზის 13 კმ-ზე/ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მუხათგვერდის ხიდის მიმდებარედ (ნაკვეთი 14/460)/ქ. თბილისი, საქ. სამხედრო გზის მე-13 კმ. შპს "ჯი-თი ჯგუფი"-ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთი №014/613), I კლასის ღობის მშენებლობას და მასში კარის ღიობის მოწყობას.

პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს, რომელიც არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური.

”მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან №882016430965 14.07.2016წ. საკადასტრო კოდი №01.72.14.014.613, ასევე საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, მუხათგვერდის ხიდის მიმდებარედ საქართველოს სამხედრო გზის 13 კმ-ზე/ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მუხათგვერდის ხიდის მიმდებარედ (ნაკვეთი 14/460)/ქ. თბილისი, საქ. სამხედრო გზის მე-13 კმ. შპს "ჯი-თი ჯგუფი"-ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთი №014/613), I კლასის ღობის მშენებლობის და მასში კარის ღიობის მოწყობის შესაძლებლობას.

აქვე გაცნობებთ, რომ საპროექტო ღობის მშენებლობა და მასში კარის ღიობის მოწყობა უნდა განხორციელდეს თქვენი კუთვნილი მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრებში.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge